




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იუდინი ალექსეი არკადის ძე



ა. ა. იუდინი

იუდინი ალექსეი არკადის ძე (17. III. 1904, ასტრახანი, – 1990), რუსი მსახიობი. საქართვე. სახ. არტისტი (1978).

1927-იდან თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრის მსახიობი იყო. გარკვეული წვლილი შეიტანა ამ თეატრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. 1943–47 ერევნის დრამ. თეატრის მსახიობია, 1947-იდან – ისევ თბილ. მოზარდ მაყურებელთა რუს. თეატრის მსახიობია. აქ შეასრულა შემდეგი როლები: ლენინი (მ. შატროვის „რევოლუციის სახელით“), ფრიც ბაუერი (ნ. საცის „ფრიც ბაუერი“), ფრანცი (ფ. შილერის „ყაჩაღები“), შმაგა (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“), ჟერონტი (მოლიერის „სკაპენის ოინები“), კიკილა (გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“), ბატისტა (ლ. შტეინის „კრაზანა“), კოტია (ნ.

დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“) და სხვ.

ავტორია სიმღერებისა პიესებისთვის: ლ. გერასკინის „წითელი ყელსახვევი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ და სხვ.
